ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №773004

ნომერი: AR1139244

თარიღი : 14.06.2013

გაცემის თარიღი : 03.07.2013

გაცნობის თარიღი : 03.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან, (ნაკვეთი N1/37) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა ხეცურიანი პ/ნ 01030033185
- თბილისი მ.წინამძღვრიშვილის ქ. N 64

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

სახურავზე I კლასის ფანჩატურის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან (ნაკვეთი #1/37) / ბელიაშვილის ქუცის მიმდებარედ (ნაკვეთი #01/54), შპს "აზერ რამან კო"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის სახურავზე I კლასის ფანჩატურის განთავსების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური". ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882012108209 06/04/2012 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.02.001.049, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბ\ამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან (ნაკვეთი #1/37) / ბელიაშვილის ქუცის მიმდებარედ (ნაკვეთი #01/54), შპს "აზერ რამან კო"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის სახურავზე I კლასის ფანჩატურის განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.